

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

\_\_\_ დეკემბერი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი

**„მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“  
განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ  
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73  
განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ამ განკარგულებაზე თანდართული რედაქციით.

ბ) განკარგულების პირველ პუნქტს „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტი:

„ბ<sup>2</sup>) შერჩეული ოჯახებისათვის ბინების გადაცემა მოხდეს შემდეგი წესით: 1 და 2 სულიანი ოჯახისათვის ერთ ოთახიანი ბინა, 3 და 4 სულიანი ოჯახისათვის ორ ოთახიანი ბინა, ხოლო 5 და მეტსულიანი ოჯახისათვის სამ ოთახიანი ბინა. შერჩეულ ოჯახს ხელმისაწვდომი საცხოვრისი გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა კრიტერიუმებთან ერთად აკმაყოფილებს კონკრეტული ბინისათვის ყოველთვიური შენატანის კუთხით დადგენილ კრიტერიუმს. ოჯახს შესაძლებელია გადაეცეს სხვა სულადობისათვის განსაზღვრული ბინა იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი საცხოვრისის საბოლოო განაწილების შედეგად დარჩება გაუნაწილებელი ბინა და ოჯახი სრულად აკმაყოფილებს სხვა სულადობისათვის განსაზღვრული დადგენილ მოთხოვნებს/კრიტერიუმებს, გარდა ოჯახების სულადობისა.“.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

## განმარტებითი ბარათი პროექტის

### სახელწოდება და სათაური

„მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 19 სექტემბრის N 73 განკარგულებით დამტკიცებული იქნა „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, მიმდინარე ეტაპზე დასრულებულია განაცხადების მიღება და შესაბამისი კომისიის მიერ მიმდინარეობს განაცხადების გადარჩევა. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია განისაზღვროს კონკრეტულად სულადობის მიხედვით ბინების განაწილების კრიტერიუმი, კერძოდ დგინდება, რომ შერჩეული ოჯახებისათვის ბინების გადაცემა მოხდეს შემდეგი წესით: 1 და 2 სულიანი ოჯახისათვის ერთ ოთახიანი ბინა, 3 და 4 სულიანი ოჯახისათვის ორ ოთახიანი ბინა, ხოლო 5 და მეტსულიანი ოჯახისათვის სამ ოთახიანი ბინა. შერჩეულ ოჯახს ხელმისაწვდომი საცხოვრისი გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა კრიტერიუმებთან ერთად აკმაყოფილებს კონკრეტული ბინისათვის ყოველთვიური შენატანის კუთხით დადგენილ კრიტერიუმს. ასევე დგინდება, რომ ოჯახს შესაძლებელია გადაეცეს სხვა სულადობისათვის განსაზღვრული ბინა იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი საცხოვრისის საბოლოო განაწილების შედეგად დარჩება გაუნაწილებელი ბინა და ოჯახი სრულად აკმაყოფილებს სხვა სულადობისათვის განსაზღვრული დადგენილ მოთხოვნებს/კრიტერიუმებს, გარდა ოჯახების სულადობისა.“.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით ხდება განისაზღვროს კონკრეტულად სულადობის მიხედვით ბინების განაწილების კრიტერიუმი, კერძოდ დგინდება, რომ შერჩეული ოჯახებისათვის ბინების გადაცემა მოხდეს შემდეგი წესით: 1 და 2 სულიანი ოჯახისათვის ერთ ოთახიანი ბინა, 3 და 4 სულიანი ოჯახისათვის ორ ოთახიანი ბინა, ხოლო 5 და მეტსულიანი ოჯახისათვის სამ ოთახიანი ბინა. შერჩეულ ოჯახს ხელმისაწვდომი საცხოვრისი გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა კრიტერიუმებთან ერთად აკმაყოფილებს კონკრეტული ბინისათვის ყოველთვიური შენატანის კუთხით დადგენილ კრიტერიუმს. ასევე დგინდება, რომ ოჯახს შესაძლებელია გადაეცეს სხვა სულადობისათვის განსაზღვრული ბინა იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი საცხოვრისის საბოლოო განაწილების შედეგად დარჩება გაუნაწილებელი ბინა და ოჯახი სრულად აკმაყოფილებს სხვა სულადობისათვის განსაზღვრული დადგენილ მოთხოვნებს/კრიტერიუმებს, გარდა ოჯახების სულადობისა.“.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური

დავით კოპინაძე

**ქ. ბათუმი, ივანე ჯავახიშვილის ქ. #78ბ; კორპუსი "გ" და კორპუსი "დ"; ს/კ #05.26.02.015**

"გ" კორპუსის საერთო ფართი - 1340,50 კვ.მ.; "დ" " კორპუსის საერთო ფართი - 1343,31 კვ.მ.; სულ - 2683,81 კვ.მ.

კორპუსი "გ"- 20 ბინა; კორპუსი "დ" - 20 ბინა; სულ 40 ბინა.

"გ" კორპუსში 20 ბინის საერთო ფართი - 1155,95 კვ.მ.; "დ" " კორპუსში 20 ბინის საერთო ფართი - 1157,81 კვ.მ.; სულ 40 ბინის ფართი 2313,76 კვ.მ.;

"გ" და "დ" კორპუსების ღირებულება სულ 2 291 495, 63 ლრ.

**ბინის 1 კვ.მ. ფართის საერთო სარგებლობის ფართებთან ერთად ღირებულება:  $2\ 291\ 495,63 / 2313,76 = 990,40$  ლარი**

#05.26.02.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 3174,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სულ უნდა აშენდეს 4 სახლი;

4 სახლში 80 ბინის საერთო ფართი:  $2313,76 * 2 = 4627,52$  კვ.მ.

მიწის ნორმატული ღირებულება:  $3174,00 * 135$  ლრ. = 428 490,0 ლრ;

**ბინის 1 კვ.მ. ფართზე წილობრივი მიწის ღირებულება:  $428\ 490,0 / 4627,52 = 92,60$  ლრ.**

**ბინის 1 კვ.მ. ფართის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად:  $990,40 + 92,60 = 1083,0$  ლარი.**

"გ" კორპუსში 20 ბინის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად 1 251 893,85 ლარი.

"დ" კორპუსში 20 ბინის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად 1 253 908,23 ლარი.

**"გ" და "დ" კორპუსებში 40 ბინის ღირებულება საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად სულ 2 505 802,08 ლარი.**

ვადა - 15 წელი - 180 თვე

---

ქ. ბათუმი, ივანე ჯავახიშვილის ქ. #78ბ (კორპუსი "გ")

#	კორპუსი	სადარბაზო	სართული	ბინა #	ფართი (კვ.მ.)	ოთახების რაოდენობა	ბინის ღირებულება სულ საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად (ლარი)	ვადა (თვე)	ყოველთვიური გადასახადი	საკადასტრო კოდი
1	გ	I	1	1	56.47	ორ ოთახიანი	61157.01	180	339.76	05.26.02.015.02.001
2	გ	I	1	2	72.92	სამ ოთახიანი	78972.36	180	438.74	05.26.02.015.02.002
3	გ	I	1	3	56.5	ორ ოთახიანი	61189.50	180	339.94	05.26.02.015.02.003
4	გ	I	1	4	34.55	ერთ ოთახიანი	37417.65	180	207.88	05.26.02.015.02.004
5	გ	I	2	5	59.85	ორ ოთახიანი	64817.55	180	360.10	05.26.02.015.02.005
6	გ	I	2	6	76.81	სამ ოთახიანი	83185.23	180	462.14	05.26.02.015.02.006
7	გ	I	2	7	59.82	ორ ოთახიანი	64785.06	180	359.92	05.26.02.015.02.007
8	გ	I	2	8	38.17	ერთ ოთახიანი	41338.11	180	229.66	05.26.02.015.02.008
9	გ	I	3	9	60.21	ორ ოთახიანი	65207.43	180	362.26	05.26.02.015.02.009
10	გ	I	3	10	76.91	სამ ოთახიანი	83293.53	180	462.74	05.26.02.015.02.010
11	გ	I	3	11	59.97	ორ ოთახიანი	64947.51	180	360.82	05.26.02.015.02.011
12	გ	I	3	12	38.28	ერთ ოთახიანი	41457.24	180	230.32	05.26.02.015.02.012
13	გ	I	4	13	59	ორ ოთახიანი	63897.00	180	354.98	05.26.02.015.02.013
14	გ	I	4	14	76.18	სამ ოთახიანი	82502.94	180	458.35	05.26.02.015.02.014
15	გ	I	4	15	58.76	ორ ოთახიანი	63637.08	180	353.54	05.26.02.015.02.015
16	გ	I	4	16	37.64	ერთ ოთახიანი	40764.12	180	226.47	05.26.02.015.02.016
17	გ	I	5	17	60.03	ორ ოთახიანი	65012.49	180	361.18	05.26.02.015.02.017
18	გ	I	5	18	76.62	სამ ოთახიანი	82979.46	180	461.00	05.26.02.015.02.018
19	გ	I	5	19	59.2	ორ ოთახიანი	64113.60	180	356.19	05.26.02.015.02.019
20	გ	I	5	20	38.06	ერთ ოთახიანი	41218.98	180	228.99	05.26.02.015.02.020

**1155.95**

**1251893.85**

**6954.97**

ქ. ბათუმი, ივანე ჯავახიშვილის ქ. #78ბ (კორპუსი "დ" )

#	კორპუსი	სადარბაზო	სართული	ბინა #	ფართი (კვ.მ.)	ოთახების რაოდენობა	ბინის ღირებულება სულ საერთო სარგებლობის ფართთან და წილობრივ მიწასთან ერთად (ლარი)	ვადა (თვე)	ყოველთვიური გადასახადი	საკადასტრო კოდი
1	დ	I	1	1	56.64	ორ ოთახიანი	61341.12	180	340.78	05.26.02.015.01.001
2	დ	I	1	2	72.83	სამ ოთახიანი	78874.89	180	438.19	05.26.02.015.01.002
3	დ	I	1	3	56.45	ორ ოთახიანი	61135.35	180	339.64	05.26.02.015.01.003
4	დ	I	1	4	34.67	ერთ ოთახიანი	37547.61	180	208.60	05.26.02.015.01.004
5	დ	I	2	5	59.97	ორ ოთახიანი	64947.51	180	360.82	05.26.02.015.01.005
6	დ	I	2	6	76.63	სამ ოთახიანი	82990.29	180	461.06	05.26.02.015.01.006
7	დ	I	2	7	59.57	ორ ოთახიანი	64514.31	180	358.41	05.26.02.015.01.007
8	დ	I	2	8	37.86	ერთ ოთახიანი	41002.38	180	227.79	05.26.02.015.01.008
9	დ	I	3	9	59.95	ორ ოთახიანი	64925.85	180	360.70	05.26.02.015.01.009
10	დ	I	3	10	76.37	სამ ოთახიანი	82708.71	180	459.49	05.26.02.015.01.010
11	დ	I	3	11	59.67	ორ ოთახიანი	64622.61	180	359.01	05.26.02.015.01.011
12	დ	I	3	12	37.89	ერთ ოთახიანი	41034.87	180	227.97	05.26.02.015.01.012
13	დ	I	4	13	60.66	ორ ოთახიანი	65694.78	180	364.97	05.26.02.015.01.013
14	დ	I	4	14	76.05	სამ ოთახიანი	82362.15	180	457.57	05.26.02.015.01.014
15	დ	I	4	15	59.69	ორ ოთახიანი	64644.27	180	359.13	05.26.02.015.01.015
16	დ	I	4	16	37.95	ერთ ოთახიანი	41099.85	180	228.33	05.26.02.015.01.016
17	დ	I	5	17	60.44	ორ ოთახიანი	65456.52	180	363.65	05.26.02.015.01.017
18	დ	I	5	18	76.33	სამ ოთახიანი	82665.39	180	459.25	05.26.02.015.01.018
19	დ	I	5	19	59.86	ორ ოთახიანი	64828.38	180	360.16	05.26.02.015.01.019
20	დ	I	5	20	38.33	ერთ ოთახიანი	41511.39	180	230.62	05.26.02.015.01.020

**1157.81**

**1253908.23**

**6966.16**



